

## განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე  
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და  
უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

პროექტის მიღება გამოწვეულია ასევე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების პროექტით.

კანონპროექტი ითვალისწინებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-2, მე-18, 26-ე, 27-ე, 33-ე და 34-ე მუხლებში ცვლილებების განხორციელებას.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული რაიმე საბიუჯეტო ხარჯებთან.